№ 187 ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲔ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ᲤᲐᲡᲘ 1 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ. ᲨᲐᲑᲐᲗᲘ 23 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ 1919 Წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ"
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით. კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ.

ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ

რესპუბლიკის სამომრიგებლო მოსამართლეთა ინსტიტუტის შესანახად დამატებით 6.928.608 მან. გადადებისა.

1. 1918 წლის სექტემბრის 24-ს კანონით დაწესებული სამომრიგებლო მოსამართლეთა ინსტიტუტის მოხელეთა ჯამაგირი, საკანცელარიო, სამეურნეო და საგზაო ხარჯი გადიდებულ იქნეს ამა 1919 წ. ივლისის 1-დან თანახმად ამ დეკრეტთან დართული ხარჯთაღრიცხვისა.

2. პირველ მუხლში აღნიშნულ საჭიროებისათვის გადებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში ამა 1919 წ. ივნისის 1-დან 1920 წ. ივნისის 1 დე დამატებითი თანხა ექვსი მილიონი ცხრაას ოცდა რვა ათას ექვსას რვა (6.928.608 მანეთი.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. აგვისტოს 2-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

ᲨᲢᲐᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲝᲛᲠᲘᲒᲔᲑᲚᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡᲐ.

თანამდებობათა სახელწოდება და საგანი ხარჯისა.	რიცხვი.	თვითეულს თვეში.			წლიურად.	ყველას წლიურად.
		ჯამაგირი.	50% თანახმად ამა მთავრობის წლის მაისის 20 დეკ.	სულ თვეში.		
სამომრიგებლო ყრილობანი. პირადი შემადგენლობის შენახვა.						
თავმჯდომარე	11	1200	400	1600	19200	211200
მდივანი	11	650	325	975	11700	128700
მდივნის თანაშემწე	12	550	275	825	9900	118800
თარჯიმანი	12	525	262	787	9444	117328
ბოქაული	11	600	300	900	10800	118800
ჯამი	—	3525	1552	5087	61044	690828
საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი.						
გადამწერი (ტფილისში 3, დანარჩენ ადგილებში ორ-ორი)	23	400	250	650	7800	179400
მანქანით გადამწერი	11	400	250	650	7800	85800
მსახური	11	300	300	600	7200	79200
გზირი	11	300	300	600	7200	79200
საწერი მასალისათვის	11	375	—	—	4500	79500
ბინების დასაქირავებლად, გათბობა განათებითურთ.	10	350	—	—	4200	42000
იგივე ქ. ტფილისისათვის (სამაზრო ყრილობას)	1	500	—	—	6000	6000
ჯამი	—	2625	1100	2500	44700	521100
საგზაო ხარჯი	10	2500	—	—	30000	300000
	1	100	—	—	1200	1200
ჯამი	—	2600	—	—	31200	301200
ჯამი ყრილობათა ხარჯისა	—	8750	2652	7587	136944	1513128
სამომრიგებლო უბნები. პირადი შემადგენლობის შენახვა.						
მომრიგებელი მოსამართლე	120	950	475	1425	17100	2052000
მდივანი	120	550	275	825	9900	1188800
თარჯიმანი	120	475	237	712	8544	1025280
ბოქაული	120	600	300	900	10800	1296000
ჯამი	—	2575	1285	3862	46344	5572080
საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი.						
გადამწერი (ორ ორი თითოს)	240	400	250	650	7800	1872000
მანქანით გადამწერი	120	400	250	650	7800	936000
მსახური	120	300	300	600	7200	864000
საწერი მასალისათვის	120	375	—	—	4500	540000
გზირი	120	300	300	600	7200	864000
ბინის დასაქირავებლად, გათბობა-განათებითურთ	98	350	—	—	4200	411600
იგივე ქ. ტფილისისათვის	22	500	—	—	6000	132000
ჯამი	—	2625	1100	2500	44700	5619600
საგზაო ხარჯი	120	100	—	—	1200	144000
ჯამი	120	100	—	—	1200	144000
ჯამი სამომრიგებლო უბნის ხარჯისა	—	5300	—	—	92244	11335680
საერთო ჯამი	—	—	—	—	—	12848808

ქალაქ ტფილისის ყრილობას ბინა გათბობა-განათებითურთ ეძლევა სასამართლოს დაწესებულებათა შენობაში.

1919 წ. აგვისტოს 2-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ.

ხოლერის ეპიდემიასთან საბრძოლველად 300000 მან. გადადებისა.

1. გადებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში სამასი ათასი მანეთი ხოლერის ეპიდემიასთან საბრძოლველად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. აგვისტოს 2 ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ.

ქალაქთა მილიციის შესანახი ხარჯის 50 % ანაზღაურებისა.

1. დროებით, ქალაქთა მილიციის ახალი შტატის დამტკიცებამდე, გადებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში, ამა 1919 წ. იანვრის 1-დან ნოემბრის პირველამდე, ყოველთვიურად 300000 მ. ქალაქთა მილიციის შესანახი მთელი ხარჯის 50% დასაფარავად, ტფილისს გარდა.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. აგვისტოს 2-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ

მთავრობის განკარგულებაში 50 მილ. მან. გადადებისა სურსათის დასამზადებლად.

1. გადაიდოს ხაზინის თავისუფალ თანხიდან მთავრობის განკარგულებაში ორმოცდაათი (50) მილ. მანეთი სურსათის დასამზადებლად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. აგვისტოს 2-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ

იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში 3.233.888 მან. გადადებისა ამა წლის ივნისის 1-დე საპყრობილეთა საჭიროებისათვის გაწეულ ხარჯის დასაფარავად.

1. გადებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში სამი მილიონი ორას ოცდა ცამეტი ათას რვაას ოთხმოცდა რვა (3.233.888) მანეთი იუსტიციის სამინისტროს საპყრობილეთა ნაწილის მიერ ამა 1919 წლის ივნისის 1 დე გაწეულ ხარჯის დასაფარავად.

2. პირველ მუხლში მოხსენებული თანხიდან დაფარულ იქნეს მხოლოდ ის ხარჯი, რომლის გასამართლებელ საბუთებს საპყრობილე-

თა ნაწილი წარადგენს სახელმწიფო კონტროლში.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. აგვისტოს 2 ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

დეკრეტი

უცხოეთში გასაზიდი შავიქვისათვის სახელმწიფო მონოპოლიის დაწესებისა.

1. რესპუბლიკის ტერიტორიაზე დამუშავებულ უცხოეთში გასაზიდი ყოველგვარ შავი ქვისათვის დაწესდეს სახელმწიფო მონოპოლია.

2. პირველ მუხლში აღნიშნული დადგენილების განსახორციელებლად მთავრობას უფლება ეძლევა, თუ საჭიროდ დაინახავს, სხვა და სხვა დაწესებულება გამოიყენოს.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1919 წ აგვისტოს 2-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

დეკრეტი.

სამხედრო ბეგარის აუსრულებლობისა და ამ დანაშაულის დაფარვისა და წაქეზებისათვის დასჯისა.

დროებით, აწინდელი კანონების (სისხლ, სამართ. სასჯ. დებულების 508, 514^2, 515. 528, 531 მუხ. და სამხედრო ბეგარ. წესდ. სათანადო მუხლები) შესაცვლელად და დასამატებლად სამხედრო ბეგარის აუსრულებლობისა და ამ დანაშაულის დაფარვისა და წაქეზების შესახებ დადგენილ იქნეს შემდეგი წესი:

1. (508 მუხ. სისხლ. სამ. სასჯ. დებ.) იმ პირს, რომელიც შეტანილია ჯარში გასაწვევ სიაში და არ გამოცხადდება დანიშნულ დღეს შესაკრებ ადგილზე, საპატიო მიზეზის დაუსახელებლად, სასჯელად დაედება:

ა) თუ მიღებული იქნა ნამდვილ სამხედრო სამსახურში, სამხედრო საპყრობილეში დაპატიმრება ერთიდან ოთხ თვემდე და

ბ) თუ მიღებული არ იქნა ნამდვილ სამხედრო სამსახურში, სამოქალაქო საპყრობილეში დაპატიმრება ორიდან ოთხ თვემდე.

2. (514^2 მუხ. სისხლ. სამ. სასჯ. დებ.) იმ პირს, რომელიც საზღვარგარეთ იქნება და თავის დროზე არ გამოცხადდება სამხედრო ბეგარის მოსახდელად, სასჯელად დაედება საქართველოში დაბრუნებისათანავე სამოქალაქო საპყრობილეში დაპატიმრება რვა თვიდან ერთ წელიწადსა და ოთხ თვემდე.

3. (515 მუხ. სისხლ. სამ. სასჯ. დებ.) ვინც სხვას წააქეზებს, რომ არ აასრულოს ის მოვალეობა, რომელიც წაქეზებულს აძევს სამხედრო ბეგარის წესდების ძალით, და აგრეთვე დამხმარე და დამფარველი, თუნდაც წამქეზებელი და დამხმარე მშობელი ან სხვა ახლო ნათესავი იქნეს, დაისჯება იმ წესით, რომელიც განსაზღვრულია ბოროტმოქმედებაში მონაწილეობისათვის სისხლ. სამართლის და გამასწორებელ სასჯელთა დებულების მე-120, 121 და 124 მუხლებში, იმ განსხვავებით, რომ სათანადო შემთხვევაში სამხედრო სასჯელი შეცვლილ უნდა იქნეს საერთო სისხლის სამართლის სასჯელად.

4. (სამხ. ბეგარ. წესდ.) ვინც სათადარიგო ჯარში ან ლაშქარში ირიცხება და თავის დროზე არ გამოცხადდება სამეცადინო ადგილას საპატიო მიზეზის დაუსახელებლად, სასჯელად დაედება სამ თვემდე დატუსაღება ან გადახდა ფულად სამი ათასი მანეთამდე.

5. (სამხ. ბეგარ. წესდ.) ვინც სათადარიგო ჯარსა ან ლაშქარში ირიცხება და მობილიზაციის დროს ნამდვილ სამხედრო სამსახურში გვიან გამოცხადდება, საპატიო მიზეზის დაუსახელებლად, ორის კვირით ან ნაკლებით მშვიდობიანობის დროს და ერთის კვირით ან ნაკლებით ომიანობის ან სამხედრო მოქმედების დროს გარეშე მტრის ან შინაურ შეიარაღებულ აჯანყების წინააღმდეგ, სასჯელად დაედება:

ა. მშვიდობიანობის დროს: პირველად საპყრობილეში დაპატიმრება ორიდან რვა თვემდე; ხოლო თუ განიმეორა, საპყრობილეში დაპატიმრება რვა თვიდან ორ წლამდე ან პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა ერთიდან სამ წლამდე და სათანადო უფლებათა ჩამორთმევა;

ბ. ომიანობის ან სამხედრო მოქმედების დროს გარეშე მტრის ან შინაურ შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგ: პირველად დაპატიმრება რვა თვიდან ერთ წელიწადსა და ოთხ თვემდე, ხოლო, თუ განიმეორა, პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა ორი წლიდან და ექვსი თვიდან ოთხ წლამდე;

ვინც დაიგვიანებს მშვიდობიანობის დროს ორ კვირაზე მეტს და ომიანობის ან სამხედრო მოქმედების დროს გარეშე მტრის ან შინაურ შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგ ერთ კვირაზე მეტს, სასჯელად დაედება:

ა) მშვიდობიანობის დროს: პირველად სამოქალაქო საპყრობილეში დაპატიმრება რვა თვიდან ერთ წელიწადსა და ოთხ თვემდე, ხოლო, თუ განიმეორა,—პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა ოთხიდან ექვს წლამდე და სათანადო უფლებათა ჩამორთმევა;

ბ) ომიანობის ან სამხედრო მოქმედების დროს გარეშე მტრის ან შინაურ შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგ: კატორგა ოთხიდან ოც წლამდე, ან უვადოთ, ან დახვრეტილ იქნება.

6. (528 მუხ. სისხლ. სამ. სასჯ. დებ.) იმ პირს, რომელიც დაჰფარავს სამხედრო სამსახურიდან გაქცეულს ან ნებადაურთველად წასულს, ან მათ, ვინც სათადარიგო ჯარში ან ლაშქარში ირიცხება და არ გამოცხადდა სამეცადინო ადგილას ან მობილიზაციის დროს ნამდვილ სამხედრო სამსახურში, სასჯელად დაედება—დაპატიმრება ოთხიდან რვა თვემდე ან ჯარიმა ფულად ოთხი ათას მანეთამდე.

7. (531 მუხ. სისხლ. სამ. სასჯ. დებ.) იმ პირს, რომელიც წააქეზებს მათ, ვინც ნამდვილ სამხედრო სამსახურში იმყოფება, რომ ნებადაურთველად სამსახურიდან წავიდნენ ან გაიქცნენ, ან რაიმე გზით ეს სამსახური თავიდან აიცილონ, ან მათ, ვინც სათადარიგო ჯარში ან ლაშქარში ირიცხება, რომ არ გამოცხადდენ სამეცადინო ადგილას ან ნამდვილ სამსახურში, თუნდაც წაქეზებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლოდეს, თუნდაც წამქეზებელი მშობლები ან სხვა ახლო ნათესავი იყოს სასჯელად დაედება:

ა) თუ წაქეზება მოხდა მშვიდობიანობის დროს, პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა ერთიდან სამ წლამდე და ყველა, პირადად და მდგომარეობით მინიჭებული უფლება და უპირატესობის ჩამორთმევა.

ბ) თუ წაქეზება მოხდა ომიანობის ან სამხედრო მოქმედების გარეშე მტრის ან შინაურ შეიარაღებული აჯანყების წინააღმეგ, პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა ოთხიდან ექვს წლამდე და სათანადო უფლებათა ჩამორთმევა ან კატორგა ოთხიდან რვა წლამდე და ყველა უფლების ჩამორთმევა.

8. იმ პირს, რომელიც სამხედრო ბეგარას დაემალება ან რომელიც სათადარიგო ჯარში ან ლაშქარში ირიცხება და ნამდვილ სამსახურში არ გამოცხადდება, ხანდაზმულობის გამო სასჯელი არ ეპატიება.

9. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1919 წ. აგვისტოს 2-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

შეცდომის გასწორება:

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ 180—№-რში (აგვისტოს 14) დაბეჭდილ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი შტატის დამტკიცების დეკრეტთან დართულ შტატში შემდეგი კორექტორული შეცდომაა:

1. სამკურნალო (სამედიცინო) ფაკულტეტის ხარჯების განყოფილებაში—საფარმაკოლოგიო ლაბორატ. შემდეგ დაბეჭდილია „საბაქტერიოლოგიო“ უნდა იყოს **„ვივარიუმი“**.

2. კაბინეტების და ლაბორატორიების ხარჯების განყოფილებაში დაბეჭდილია „სამატერიოლოგიო კ-ტის“—უნდა იყოს **„საბაქტერიოლოგიო ლ-რის“**.

3. საბუნებისმეტყველო—სამათემატიკო ფაკულტეტის ხარჯების განყოფილებაში დაბეჭდილია „სამკურნალო (სამედიცინო) ლაბორატორიისათვის“—უნდა იყოს **„საქიმიო ლაბორატორიუმისათვის“**.

ამავე განყოფილებაში იქ სადაც სწერია „სულ“ მეხუთე სვეტში დაბეჭდილია „12,000“ უნდა იყოს—„12,200“.

4. სამდივნოწიგნობრო ხარჯების განყოფილებაში—დაბეჭდილია: „ფ-ტის მდივანს“ უნდა იყოს **„უ ტის მდივანს“**.

ამავე განყოფილებიდან გამოტოვებულია „საკანცელარიო ხარჯი—15,000“.

5. ყოველწლიური ხარჯის განყოფილებიდან გამოტოვებულია „მოულოდნელი ხარჯი—10,000“.

6. ხარჯების სხვა და სხვა ნაწილთა საერთო ჯგუფში დაბეჭდილია—„სამეურნეო სასწავლო ნაწილი“ უნდა იყოს—**„სამეცნიერო-სასწავლო ნაწილი“**.

არა ოფიციალური განყოფილება

შინაგან საქმეთა სამინისტროში

კომისარიატები.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი ცნობა გაუგზავნა სიღნაღის ერობას: „სიღნაღის სამაზრო ერობის გამგეობას დაუდგენია გააუქმოს სამაზრო და სარაიონო კომისარიატები, რომლების ნაცვლათ დაუარსებია ერობის გამგეობასთან ადმინისტრატიული განყოფილება და მაზრაში მილიციის უფროსის თანამდებობა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის განკარგულებით, გატყობინებთ, რომ სამაზრო და სარაიონო კომისარიატები დაარსებულია საკანონმდებლო გზით და მათი გაუქმება შეიძლება მხოლოთ საკანონმდებლო დაწესებულების დადგენილებით. ამისათვის სიღნაღის მაზრის კომისარი უნდა დარჩეს თავის ადგილზე ვიდრე შინაგან საქმეთა მინისტრი კანონმდებლობითი დაწესებულების დადგენილების თანახმათ არ გამოსცემს განკარგულებას მაზრაში კომისარიატების გაუქმების შესახებ.

მოხსენება ახალქალაქის მაზრის მილიციის შტატის შემოღების შესახებ.

შინაგან საქმეთა მინისტრმა წარუდგინა მთავრობას შემდეგი მოხსენება:

„ოსმალეთის ჯარების მიერ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების დაცლის შემდეგ გასულ წლის ნოემბრის თვეში ეს მაზრები შემოუერთდა ჩვენს ტერიტორიას და მათი ადმინისტრატიული დანაწილება დატოვებული იქნა ისე, როგორც ძველი რუსეთის მთავრობის დროს, ვინაიდან დანაწილება შეფარდებული იყო ადგილობრივ ცხოვრებასთან.

საქმის სიჩქარის გამო შემოერთების დროს გაგზავნილი იქნა ამ მაზრებში შინაგან საქმეთა სამინისტროს რწმუნებული განსაკუთრებული მინდობილობით ადგილობრივი ადმინისტრაციისა და მილიციის მოსაწყობათ. მაგრამ მალე წარმოშობილმა ამბოხებამ რწმუნებულს მოვალეობის ასრულებაში ხელი შეუშალა და დაწყებული საქმე ჩაეშალა.

ახლა კი, როდესაც სამხედრო მოქმედება დასრულებულია და მაზრების ცხოვრება ითხოვს ის ნორმალურ კალაპოტში იქნეს ჩაყენებული, და წესრიგისა და საზოგადოებრივი უზრუნველყოფის დასაცავათ დაუყონებლივ საჭიროა დამტკიცდეს ამ მაზრათა მილიციის და ადმინისტრაციის შტატები და ამით სავსებით დასრულდეს ამ მაზრების გაერთიანება რესპუბლიკის ტერიტორიასთან.

რადგან წინანდელმა მაგალითებმა გვაჩვენა და ამ მაზრებში უეჭველათ საჭიროა მტკიცე და ძლიერი მილიციისა და-ადმინისტრაციის მექანიზმი, საკმაო არ იქნება ამ მაზრებში აწ არსებული მაზრის შტატი. ამიტომ საჭიროთ ვრაცხ ახალციხე ახალქალაქის მაზრების მილიციები და ადმინისტრაცია, ადგილობრივი ცხოვრების პირობების თანახმად განსხვავებული იყვნენ. ამიტომ შემოღებული იქნეს ახალქალაქის მაზრაში შემდეგი თანამდებობანი: 1) 1 მაზრის კომისრის, 2) 1 მისი თანაშემწის, 3) 1 მაზრის უფროსის, 4) 1 მდივნის, 5) 2 თარჯიმნის, თანაბრათ არსებული ამ მაზრებში ორს უცხო ენაზე მოლაპარაკე ელემენტის, 6) 2 მწერლისა და 7) 2 საქმის მწარმოებელის.

მთელი მაზრა უნდა გაიყოს სამ რაიონათ, რომლის თავში იდგომება რაიონის კომისარი. მაგრამ, ვინაიდან ქალაქს ახალქალაქში ჯერჯერობით არ არსებობს ქალაქის თვითმართველობა და არც არავინ არის, რომ ქალაქის მილიციას უპატრონოს, ის უნდა ჩაითვალოს მე 4 რაიონათ. ამნაირათ სულ იქნება 4 რაიონი. ამ უკანასკნელი რაიონის ადმინისტრაციისა და მილიციის რჩენა სავსებით მთავრობამ უნდა იკისროს, რადგან ქალაქის მცხოვრები ჯერაც არ დაბრუნებულა თავის სახლკარის ადგილას.

ქალაქის რაიონში ახლანდელი პირობების მიხედვით საჭირო არის 25 მილიციელი(ქვეითი), მაზრის ცხენოსან მილიციელთა რეზერვი საჭიროა იქნეს 40 კაცისაგან შემდგარი. მათ გარდა პოსტზე მოყარაულეთ უნდა იქნეს 20 ცხენოსანი მილიციელი. რაც შეეხება საზოგადოებებს, რომლებიც სულ მაზრაში არის 16 თითოულ მათში უნდა იქნეს სამ სამი მილიციელი საზოგადოების კომისარზე დამოკიდებული. ამ უკანასკნელთ თითო მწერალი. ყველა ეს თანამდებობის პირი ჯამაგირით უნდა დაკმაყოფილებული იქნენ მთავრობის მიერ, რადგან ადგილობრივი მცხოვრებლები ძლიერ დაზარალებული არიან ომისა და ამბოხებისაგან.

ადმინისტრატიული მმართველობის ცენტრი უნდა იქნეს ახალქალაქი.

შრომის სამინისტროში.

საპენსიო კომისია.

18 აგვისტოს დღის 12 საათზე შრომის სამინისტროში შესდგა მთავრობის კომისიის სხდომა საქართ. რკინის გზის დაშავებულ მუშების პენსიის გასადიდებლათა და სახელმწიფო მოსამსახურეთა პენსიის წესდების შესამუშავებლათ. კომისიამ მსჯელობის შემდეგ დაავალა ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელს, რათა მან შემდეგ სხდომისათვის წარმოადგინოს ვრცელი მოხსენება სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა პენსიის წესდების პროექტზე, ხოლო საქართ. რკინის გზის დეპარტამენტს, რათა ამავე სხდომისათვის წარმოადგინოს დამუშავებული მასალა რკინის გზის დაშავებულ მუშების პენსიის გასადიდებლათ.

პასუხი ტრამვაის ადმინისტრაციას.

შრომის კომისარმა ტრამვაის ადმინისტრაციას აცნობა:

1) არსებული პირობა ურთიერთ შორის უქმე დღეების ცხოვრებაში გასატარებლათ სავალდებულოა ორივე მხარისათვის;

2) მუშაობა პირობისამებრ არსებულ უქმე დღეს დასაშვებია და მუშა კმაყოფილდება თანახმათ კანონისა ზედმეტ მუშაობაზე.

3) პროფესიონალურ კავშირის პრეზიდიუმის და სექციათა წევრები არ თავისუფლდებიან მუშაობის დროს კავშირის ან გამგეობის სხდომებზე დასასწრებლათ, გარდა კავშირის პრეზიდიუმის გამგეობისა, რომელიც იმავე დროს კავშირის ხელმძღვანელია.

4) დანარჩენი სადავო საკითხები შრომის კომისრის თანადასწრებით ადგილობრივ უნდა იქნეს განხილული.

რწმუნებულის დანიშვნა.

ქ. გორის მუშათა დეპუტატების ერთ-ერთ სხდომაზე ა. მიქაძე ამორჩეულ იქნა შრომის სამინისტროს რწმუნებულათ ქ. გორში. შრომის სამინისტრომ ამა ცნობის შემდეგ დაავალა მიქაძეს, როგორც რწმუნებულს, ადგილობრივ თვალ-ყური ადევნოს შრომის დაცვის კანონების ცხოვრებაში სისწორით და სავსებით გატარებას, დაიცვას დაქირავებულთა უფლებები და სისრულეში მოიყვანოს.

სატარიფო პალატა.

სამშაბათს 19 აგვისტოს შესდგა სატარიფო პალატის სხდომა. სხვა საქმეებს გარდა სატარიფო პალატამ განიხილა ქსნის ანდრიოლეტის ქარხნის მუშების მოთხოვნილება, რომელ-

თაც მოემატათ მოზრდილებს 15%, ხოლო უფროს მუშებს კი 10%. დაშვებულია ქარხანაში ნარდი მუშაობაც.

მებაღეთა პროფ. კავშირი.

კვირას, 17 აგვისტოს, დღის 10 საათზე ორთაჭალაში შესდგა მებაღეთა მუშების და ბაღების მოიჯარადრეთა საზოგადო კრება პრინციპიალურ ტეხნიკურ საკითხების და კოლლექტიურ ხელშეკრულების დამტკიცების გამო. კრებას თავმჯდომარეობდა შრომის კომისრის მოადგილე ს. ფანცხავა. პროფეს. კავშირების საბჭოდან დაესწრენ შ. აბდუშელიშვილი და ბოკერია. კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილებანი: არჩეულ იქმნას ცენტრალური კომისია (რწმუნებულთა საბჭო), რომელიც სხვა ტეხნიკურ საკითხების მოგვარების გარდა მიაქცევს ყურადღებას სარაიონო კომისიების (კოლლ. ხელშეკრულების პუნქტი) მუშაობას 8 საათის სამუშაო დროის განსაზღვრა—განაწილებაში. ცენტრალურ საბჭოში არჩეულ იქნა თითო მხრიდან ხუთ ხუთი კაცი, ხოლო შრომის კომისარს დაევალა დანიშნოს თავმჯდომარეთ ცენტრიდან ნეიტრალური პირი.

ვინაიდან სატარიფო პალატის დადგენილება ჯამაგირებზე სისრულეში უნდა მოვიდეს, ამიტომ ეს საკითხი დასამტკაცებლათ გადაეცეს რწმუნებულთა საბჭოს და მასვე დაევალოს მისი ცხოვრებაში გატარება. ბინის საკითხიც გადაეცა მოსაგვარებლათ რწმუნებულთა საბჭოს.

მტკიცეთ დაცული კოლექტიური ხელშეკრულება ორივე მხარის მიერ და მის დარღვევას თვალი ადევნოს რწმუნებულთა საბჭომ. თანახმათ პროფეს. კავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ კომისიის დადგენილებისა 31 აგვისტოს მთელი დღის ნამუშევარი 8 საათის განმავლობაში გადადებულ იქმნას პროლეტარულ ფრონტის დასახმარებლათ და ფონდის გასაძლიერებლათ.

თანამედროვე დემოკრატიის უფლება.

§ 3.

დამფუძნებელი ხელისუფლება ანუ pouvoir constituant

I თეორია.

ხალხის Pouvoir constituant ნიშნავს ხალხის უმაღლეს ხელისუფლებას, რომლითაც იგი ამკვიდრებს თავისთვის კონსტიტუციას და საჭიროების მიხედვით სცვლის კიდეც მას: lex populi suprema voluntas,—ხალხის კანონი არის უმაღლესი ნება. ეს მოძღვრება ფესვმოდგმულია ინგლისურ და შოტლანდიურ პრესვიტერულ სისტემაში.

საეკლესიო ხელშეკრულების, covenant-ის შესახებ მოძღვრება, რომლითაც მორწმუნენი ვალდებულ ხდიან თავის თავს, თავის სარწმუნოებას და საეკლესიო კონსტიტუციას ეკედლონ,—არის მოძღვრების დასაწყისი pouvoir constituant-ის შესახებ.

ჯერ კიდევ „Argeement of the People“ კრომველის ჯარისკაცი იცავდა იმ შეხედულებასა, რომ ეს სახალხო ხელშეკრულება პარლამენტზე მაღლა სდგას,—თანა მოქალაქეთა ფორმალურათ შემოერთების ძალითო. ახალი ინგლისის ნიადაგზე ეს შეხედულება გავრცელდა და ჩაენერგა კონეკტიკუტას, როდაილანდის კოლონიალურ კონსტიტუციებს, რომელნიც კოლონისტების ერთხმა გადაწყვეტილებით იქნენ მიღებულნი. და ამ სახელმწიფოების სხეულთა მცირე შემოცულება კი არ იყო იმის მიზეზი, რომ შეიქმნენ სახალხო კრებანი უწარმომადგენლებოთ, არამედ მიზეზი იყო კონგრეგაციონალისტების საეკლესიო შეხედულება, რომლის მიხედვით, ხელშეკრულება, covenant-ი, ქმნის არა მარტო საეკლესიო თემს, არამედ სახელმწიფოებრივ სხეულსაც. მე-18 საუკუნეში, სახელდობრ, 1780 წ. მასსაჩუზეტის კონსტიტუციურ აქტში, ეს პირველ დასაწყისში ერთთანხმური ხელშეკრულება გარდაიქცა უმრავლესობის ვოტუმათ, რომელიც დანარჩენების, არა მოთანახმე თანამოქალაქეთა მიმართ სავალდებულო იყო. კონსტიტუცია აქ ისე იქმნება, რომ ამ კოლონიის ყველა სათემო კრებას (town meetings) ეკითხებიან: არის თუ არა ეს მომენტში სავარგებელი კონსტიტუციის გამოსაცემათ, და თუ თანახმა არიან, სურთ თუ არა მათ წარმოგზავნონ თავის წარმომადგენლები ეგრეთ წოდებულ State Convention (სახელმწიფო კონვენტში), რომელიც ვალდებულია კონსტიტუციის პროექტი დაამუშაოს. და ნამდვილათაც, ეს პროექტი დამუშავდა და წარედგინა town meeting-ებს მისალებათ, რაც მოხდა 1780 წ. 16 ივნისს. მასსაჩუზეტსში განმტკიცებული წესი ახალი ინგლისის სხვა შტატებისათვის პირველსახეობათ გახდა, მაგ. ნიუ გემპშირისათვის 1783 და 1791 წელში. მაინც იყვენ ისეთი კოლონიებიც, და სახელდობრ ცხრა (უმრავლესობა), რომელთაც დამფუძნებელი ხელისუფლება განსაკუთრებულ არჩეულ დამფუძნებელ კონვენტებს გადასცეს. თვით საკავშირო კონსტიტუციის შედგენის დროს 1787 წ., რომელიც თავის შესავალში ხალხის დამფუძნებელ ხელისუფლებას სცნობს, რომ (ჩვენ, შეერთებული შტატების ხალხი... დეკრეტს ვსცემთ და ვამკვიდრებთ ქვემოთმოყვანილ კონსტიტუციას ამერიკის შეერთებულ შტატებისათვის),—ფილადელფიაში შემუშავებული კონსტიტუცია უნდა დამტკიცებულიყო განსაკუთრებულ, ცალკებრივ შტატებში არჩეულ ad hoc დამფუძნებელ კონვენტების მიერ.

მხოლოდ მე-19 საუკუნის განმავლობაში შეინერგა დანარჩენ შტატებშიც მასსაჩუზეტსში ჩვეულებრივი წესი ხალხის დაკითხვისა და თვით ხალხის მიერ კონსტუციის პროექტების დამტკიცებისა, რომელთაც კონვენტში იმუშავებდენ. თუ რამდენათ ეს წესი ენათესავება პრესვიტერულ საეკლესიო კონსტიტუციას,—იმ ფაქტიდან სჩანს, რომ ეგრეთ წოდებულ შოტლანდიის 1697 წ. Barrier-Act-ის, პრაქტიკის თანახმათ, გენერალურ სინოდის მიერ ერთხმათ მიღებული საეკლესიო კანონები სავალდებულო ძალას მხოლოდ მაშინ იღებდენ, როცა არც ერთი საპრესვიტერო ამ კანონების წინააღმდეგ თავის პროტესტს არ განაცხადებდა. რასაკვირველია, ამით ჯერ კიდევ არაა დამკვიდრებული ნამდვილი თანხმობა ხალხისა, ვინაიდან იგი წარმოიშვა მხოლოდ ამერიკულ ნიადაგზე, მაგრამ ამ იდეის თესლები კი უკვე პრესვიტერულ სისტემაშია ჩათესილი.

„Pouvoir constituant“-ის შესახებ ამერიკული მოძღვრების შედეგათ უნდა აღვნიშნოთ ორი მოვლენა: 1. დამფუძნებელი ხელისუფლება ხალხს ეკუთვნის; 2. ეს ხელისუფლება არ შეიძლება განხორციელდეს წარმომადგენლების მიერ. იქ, სადაც ამ უკანასკნელს მაინც აქვს ადგილი ესე იგი იქ, სადაც კონვენტები იმუშავებენ კონსტიტუციას, იქ, ეს კონვენტები არიან ხალხის მხოლოდ რწმუნებულები, რომელთა აქტებიც თვით ხალხმა უნდა დაამტკიცოს.

რევოლუციის დასაწყისში ფრანგების თვალწინ ტრიალებდა დამფუძნებელ კრებათა (კონვენტთა) და ხალხის მიერ კონსტიტუციის დამტკიცების ამერიკული პირველსახეობა. ბიუჟიში აზნაურთა „Cahier“ (ესე იგი ნაკაზი, ამომრჩეველთა ინსტრუქცია დეპუტატებისადმი) აცხადებს: „უმაღლესი ხელისუფლება, რომელიც მდგომარეობს საერთო ნების, volonte général გამოაშკარავებაში, არ შეიძლება შეიკვეცოს, ან შეიზღუდოს, ან გადაეცეს ვინმეს, ვინაიდან შესაძლებელია გადაცემა მხოლოდ ხელისუფლებისა და არა ნებისა. გენერალური შტატები არ არის ნაცია, იგი მხოლოდ მისი ანარეკლია; მას არა აქვს კუთვნილი სუვერენიტეტის სრულ ხელისუფლებოვანების მაგრამ მაინც მას აქვს მიკუთვნებული გადასახადთა დამტკიცების და ახალკანონების შედგენის განსაკუთრებული უფლება. მაგრამ იმ უფლებათ, რომლის მიხედვით მას არ შეუძლია განუწეროს ის კანონები, რომელნიც საზოგადოებრივ ხელშეკრულების და მმართველობის ფორმის საფუძველია, თუ ამაზე ხალხის თანხმობა არაა მიცემული. ამგვარათ, თვით აზნაურობაც კი ვერ დარჩა „pouvoir constitvuant“ ის შესახებ მოძღვრების გავლენის გარეშე. და თუ, მიუხედავათ ამისა, 1791 წ. საფრანგეთის კონსტიტუცია კონსტიტუციის მე VII თავის გამოცვლის დროს უკანასკნელ გადამწყვეტ ინსტანციათ სთვლის არა ხალხს, არამედ ერთი მეორეზე მიმყოლ საკანონმდებლო კრებას, (ამასთან უკანასკნელი მეოთხე გადამწყვეტი კრება უნდა შესდგებოდეს დეპუტატთა ჩვეულებრივ რიცხვის წინააღმდეგ ორჯერ მეტით),—ამის მიზეზი იყო შიში „ბრბოს“ წინაშე, „populace“ წინაშე.

თეორია, რომელმაც ხალხის შეგნებაში მოამზადა ეს შეხედულებანი, წამოაყენა სიესმა თავის ცნობილ წიგნში: „რა არის მესამე წოდება“. იგი დღემდე საფრანგეთში დარჩა pouvoir constitnant-ის შესახებ მოძღვრების საფუძვლად.

სიესი ამბობს: „გარკვეული მიზნისათვის არ შეიძლება შექმნა სხეული უიმისოთ, თუ მას არ მიეცი განსაზღვრული ორგანიზაცია. სწორეთ ეს ორგანიზაცია იწოდება ამ სხეულის ძირითად კონსტიტუციად (constitution). ცხადია, რომ მას (სხეულს) უიმისოდ (უკონსტიტუციოდ) არსებობა არ შეუძლია. ამგვარად აშკარაა, რომ თვითეულ წარგზავნილ მთავრობას უნდა ჰქონდეს თავისი კონსტიტუცია, და ის რაც სწორეა საერთოდ მთავრობის შესახებ, სწორეა აგრეთვე ყველა იმ ნაწილის შესახებაც, რომელთაგან იგი შესდგება. მაშასადამე, წარმომადგენელთა კრება, რომელსაც ერწმუნებულა კანონმდებლობითი ხელისუფლება ან საერთო ნების აღსრულება, არსებობს მხოლოდ იმ ფორმით, როგორიც ხალხს სურდა მისთვის მიეცა. იგი არასფერს არ წარმოადგენს უძირითად-ფორმოთ, მხოლოდ ძირითად ფორმების წყალობით მმართველობს თავს, მოქმედებს და ბრძანებლობს... ამგვარათ მტკიცდება იმის აუცილებლობა, რომ მთავრობა დაექვემდებაროს განსაზღვრულ ფორმებს, რომ მას შეეძლოს მუშაობა იმ მიზნის მიმართულებით, რომლისთვისაც იგია შექმნილი და რომ მას არ შეეძლოს მისგან გადახვევა... ისმება საკითხი, თუ რომელ პროექტების საფუძველზე შეიძლება დამკვიდრდეს კონსტიტუცია თვით **ხალხისა**. ხალხი არსებობს უფრო ადრე, ვინემ ყველაფერი დანარჩენი, იგია ყველაფრის ძირი. მისი ნება ყოველთვის კანონიერია, ეს ნებაა თითონ კანონი. ამ ნებამდე და ამ ნებაზე არსებობს მხოლოდ ბუნებრივი უფლება... კონსტიტუცია არის ნაყოფი არა დაფუძნებული ხელისუფლებისა (pouvoir constitue), არამედ დამფუძნებელ ხელისუფლებისა (pouvoir constituant). წარგზავნილი ხელისუფლების არც ერთ სახეს არ შეუძლიან გავლენა მოახდინოს დამფუძნებელი ხელისუფლების გადაცემის პირობებზე. მხოლოდ ამ აზრით კონსტიტუციური კანონები არიან ძირითადი კანონები... ცხადია, რომ ისინი მხოლოდ მთავრობას ეხებიან. სასაცილო იქნებოდა გვეფიქრა, რომ ხალხი იბორკავს თავის თავს იმ ფორმალობით, ან იმ კონსტიტუციით, რომლითაც იგი ბორკავს (ზღუდავს) თავის წარმომადგენლებს. თუ ხალხს, იმისთვის, რომ გახდეს ხალხათ, სჭირდებოდეს რომელიმე დადებითი ფორმა, იგი ვერას დროს ვერ გახდება ხალხათ ხალხი იქმნება მხოლოდ ბუნებრივი უფლების ძალით. ხალხია ყველაფერი ის, რითაც შეუძლიან იყოს იგი, მხოლოდ თუ გინდ მარტო იმიტომ, რომ იგი არსებობს და ხალხის საკუთარ ნებისაგან არაა დამოკიდებული მეტი, ან ნაკლები უფლებათ მითვისება... მთავრობა მხოლოდ იმდენად ახორციელებს ნამდვილ ხელისუფლებას, რამდენად იგი კონსტიტუციონურია, რამდენად იგი მისთვის აღნიშნულ კანონებს ასრულებს. პირიქით, ხალხის ნება საჭიროებს არსებობას მხოლოდ იმიტომ, რომ იქნეს კანონზომიერი; იგი არის ყოველი კანონიერების ფესვი. ხალხი არამც თუ დაქვემდებარებულია რომელიმე კონსტიტუციას, არამედ მას არ შეუძლიან და არც უნდა ემორჩილებოდეს მას. ასეთ მსჯელობათა შემწეობით ჩვენ მივალთ იმ პასუხამდე, რომელიც უნდა მივსცეთ ზემოთ დასმულ საკითხს. თუ ერთი ნაწილი კონსტიტუციისა, რომელსაც თქვენ სთვლით საფრანგეთის ძირითად კონსტიტუციათ, არ ეთანხმება მეორე ნაწილს, მაშინ ვინ უნდა გადასწყვიტოს ეს საკითხი?—ხალხმა,—ყოველგვარ დადებითი ფორმების დამოუკიდებლად... ხალხის ჩვეულებრივი რწმუნებულები ღებულობენ მოვალეობას ძირითად ფორმების თანახმად განახორციელონ საერთო ნების მთელი ის ნაწილი, რომელიც აუცილებელია კარგის საზოგადოებრივ მმართველობის შენახვისათვის. არა ჩვეულებრივი (საგანგებო) რწმუნებულები ყოველთვის იმ უფლება რწმუნებულობით არიან აღჭურვილნი, რომელსაც მათ ხალხი მოისურვებს მისცეს. რადგანაც მრავალ რიცხოვან ერს არ შეუძლიან ფაქტიურად ყოველთვის ერთად შეიკრიბოს, როცა ამას მოითხოვს არა ჩვეულებრივი მდგომარეობა, იგი იძულებულია ასეთ შემთხვევაში აუცილებელი უფლება რწმუნებულობა გადასცეს არა ჩვეულებრივ (საგანგებო) რწმუნებულებს. ხალხს რომ შეეძლოს შეკრება და თავისი ნების გამოთქმა, განა შეგეძლოთ ვინმეს ამ ნებაზე ხელის დადება მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხი მას (ნებას) ანხორციელებს ამ ფორმაში და არა იმ ფორმაში? აქ სინამდვილე არის ყველაფერი,—ფორმა—არაფერი. საგანგებო რწმუნებულთა კრება სცვლის ხალხის კრებას. საგანგებო რწმუნებულთა კრება, უეჭველია, ხალხის მთელი ნებით არ უნდა იყოს აღჭურვილი,—იგი საჭიროებს,—და ისიც იშვიათ შემთხვევაში,—საგანგებო უფლება-რწმუნებულობით **ყოველგვარ ძირითად ფორმებისაგან**. აქ სულაც არაა საჭირო სიფრთხილისთვის იმდენ საშუალებათა ხმარება იმისთვის, რომ ხელისუფლებით ბოროტ მოქმედება არ მოხდეს; ეს რწმუნებულები ინიშნებიან მხოლოდ განსაზღვრულ ვადით და მხოლოდ ერთ განსაზღვრულ საბაბის გამო. მე ვამბობ, რომ ისინი ყველაფერ იმაში, რასაც სწყვეტენ, არ არიან შებორკილნი არავითარი ძირითადი ფორმებით. პირველათ ყოვლისა ფორმებით ასეთი შებორკვა შეუძლებელი იქნებოდა უკვე იმიტომ, რომ თვით ეს ფორმები ჯერ კიდევ არაა გამოაშკარავებული, ეს ფორმები ჯერ უნდა გამოარკვიონ და განამტკიცონ. მეორეთ, ისინი ვერაფერს იტყოდენ იმ საქმეთა შესახებ, რომელთა შესახებ უკვე განსაზღვრული ფორმებია ჩამოყალიბებული. მესამეთ, ისინი არიან ხალხის მაგივრათ, რომელსაც ეკუთვნის ძირითადი კონსტიტუციის გამორკვევა-განსაზღვრა... მათ შეუძლიათ ამიტომ გამოსთქვან თავისი ნება ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფ ცალკებრივ ადამიანებისათვის; ისინი შეიძლება იყვნენ წარგზავნილნი, მათ შეუძლიათ შეიკრიბონ, მათ შეუძლიათი თათბირონ-იმსჯელონ როგორი ფორმითაც სურთ; რაღათ არ შეიძლება უარყოფილ იქნეს (და განა ხალხს, რომელიც მათ აგზავნის, შეუძლია ისინი არ იცნოს?), რომ ისინი მოქმედებენ ხალხის საგანგებო რწმუნების ძალით, მათი საერთო ნება უთანასწორდება თვით ხალხის ნებას. მე არ მსურს ვსთქვა, რომ ხალხს არ შეუძლია მისცეს თავის ჩვეულებრივ წარმომადგენლებს ახალი მინდობილება, რომელზეც ჩვენ აქ ვლაპარაკობდით. ერთ და იგივე პირთ შეუძლიათ, უეჭველია, სხვა და სხვა კრებაში შესვლა და თანმიყოლებით, განსაკუთრებულ რწმუნებულების ძალით, მონაწილეობა მიიღონ ძალა-უფლებათა გამოხატულებაში, რომელნიც თავისი საგნებით უნდა ირეოდენ ერთმანეთში, მაინც ყოველთვის მართალია ის, რომ საგანგებო რწმუნებულობა არ შეიძლება გათანასწორებულდეს ჩვეულებრივ საკანონმდებლო კრებასთან, რადგან ისინი სხვა და სხვა ხელისუფლებით არიან აღჭურვილნი“.

ასე ამბობს სიესი. ზემო თქმულის თანახმად მის მიერ წამოყენებული პრინციპები შემდეგია:

1. ხალხი ფლობს დამფუძნებელ ხელისუფლებას, pouvoir constituant, რომელიც განირჩევა კონსტიტუციის მიერ შექმნილ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებისაგან (pouvoir constitues).

2. Pouvoir constituant, ხალხის დამფუძნებელი ხელისუფლება არაა შებორკილი და არ შეიძლება შებორკილი იქნეს რაიმე კონსტიტუციური ჩარჩოებით. ამაზე ხალხს აქვს ბუნებრივი უფლება. ამით თანამედროვე დემოკრატია აცხადებს განუწყვეტელ (შეუწყვეტელ) უფლებას რევოლუციაზე.

3. დამფუძნებელი ხელისუფლება, pouvoir constitant, განხორციელებული შეიძლება იქნეს არა მარტო თვით ხალხის მიერ, არამედ ხალხის არა ჩვეულებრივ (საგანგებო) რწმუნებულების მიერაც.

4. ეს უკანასკნელნი, ისე როგორც თვით ხალხი, შებორკილი არ არიან რაიმე მინდობილებებით.

5. დამფუძნებელი ხელისუფლების pouvoir constituant, განმახორციელებელნი არ უნდა მოღვაწეობდენ იმ საქმეში, რომელიც მინდობილი აქვს სახელმწიფოებრივ ხელისუფლების (pouvoirs constitues) ჩვეულებრივ განყოფილებებს. მათ მხოლოდ კონსტიტუცია უნდა დააფუძნონ.

პუნქტი პირველი, მეორე და მეხუთე განხორციელდა შეერთებულ შტატებში.

რომ ერთი თავის დამფუძნებელ ხელისუფლების განხორციელებაში არ შეიძლება იქნეს შევიწროვებული არავითარი ჩარჩოებით,—ეს აღიარებულია საფრანგეთში, შეერთებულ შტატებში—პურიტანული დოქტრინის გავლენით,—და აგრეთვე შვეიცარიაში.

რაც შეეხება პურიტანების შეხედულებას ჩვენ მიერ გარჩევა საკითხზე,—უკვე რეინბო რომ სთქვა „Argeement of the People“-ის გამო კამათის დროს შემდეგი: „თუ გინდ საქმე ეხებოდეს კანონებს, რომლის ქვეშ მცხოვრებნი მუდამ სცხოვრობდენ,—თუ ისინი ფიქრობენ, რომ ეს კანონები აღარ შეეფერებიან თავისუფალ ადამიანებს,—მე ვერ ვხედავ მიზეზს, რომელიც შემაჩერებდა ღვთის და ადამიანთ თვალში ყოველი საშუალებით მეცადა ხალხისთვის უფრო სასარგებლო მომეპოვებინა, ვინემ ის მთავრობა, რომლის დროსაც სცხოვრობს ეს ხალხიო“. ასევე მსჯელობს პოლკოვნიკი კლარკი: „მე ვფიქრობ, რომ ყველა ხალხი და ერი სარგებლობენ ხელისუფლებით და თავისუფლებით შესცვალოს და გამოსცვალოს თავისი კონსტიტუცია.

ეს არის ხალხის ძირითადი უფლება რევოლიუციაზე. სიესის მოძღვრების დანარჩენმა პუნქტებმა, როგორც ამას ეხლავ დავინახავთ ფესვი გაიდგა მხოლოდ საფრანგეთში.

ასე: ამერიკამ და საფრანგეთმა—და თან მოყოლით შვეიცარიამ—განავითარეს თავისი განსაკუთრებული მოძღვრება დამფუძნებელ ხელისუფლების შესახებ· pouvoit constituant-ის შესახებ. მართალია, ამერიკელი პირველ სახობა განმტკიცდა საფრანგეთში, სახელდობრ მაშინ, როდესაც კონდორსემ, რომელიც ამერიკულ წესწყობილების გავლენაში იყო, თავის ჟირონდისტულ კონსტიტუციას ჩაურთო ყველა კონსტიტუციის რეფორმათა დამტკიცება ამრჩეველთა პირველ საფეხურის კრებების მიერ. რობესპიერის მეთაურობით იაკობინელების კონსტიტუცია, დამკვიდრებული 1793 წელში აღიარებდა კონსტიტუციის გამოცვლის ინიციატივას ამომრჩეველთა პირველ საფეხურის კრებების განსაზღვრულ რიცხვის დადგენილების შემდეგ, მერე ხალხის დაკითხვა ამის შესახებ: უნდა მოხდეს კონსტიტუციის გადათვალიერება თუ არა, დაბოლოს, იგი ქმნიდა განსაკუთრებულ დამფუძნებელ კრებას, რომელიც ვალდებული იყო გამოემუშავნა კონსტიტუციის პროექტი ან შეეცვალა კონსტიტუცია. თვით ეს აღნიშნული კონსტიტუცია პლებისციტის საშუალებით იქნა მიღებული. იგივე ითქმის დირექტორიის კონსტიტუციის შესახებ. დირექტორიის ძლევამოსილ იარაღთან ერთად ეს ამერიკელ-ფრანგული იდეები შეიჭრენ შვეიცარიაში, სადაც მათ იპოვეს ნოყიერი ნიადაგი კონსტიტუციური რეფერენდუმის მრავალგვარ ფორმების დასამკვიდრებლად. ორივე ნაპოლეონმა საკმარისად ისარგებლეს პლებისციტით, ამის მიუხედავად, დამფუძნებელი ხელისუფლების საკითხის შესახებ საფრანგეთში განმტკიცდა არა ამერიკელების მოძღვრება, არამედ სიესის დოქტრინა.

საქართველოს გარშემო

გაზ. „მრიბლი“-დან.

ჩვენ ყოველთვის დარწმუნებული ვიყავით, რომ ბოლშევიზმისა და რეაქციას შორის არსებობდა ჰარმონიული თანხმობა. ეს თანხმობა სჩანს არა მარტო იქიდან, რომ ბოლშევიზმი ხელს უწყობს შავს რეაქციას, ან და პირიქით უკანასკნელის ზრდა ქმნის ალვირ წახსნილ ბოლშევიზმის განვითარებას, არამედ ეს იქიდანაც სჩანს, რომ ორივე ამ, შემთხვევაში ცხადია დემოკრატიისადმი სიძულვილი. მაგალითები ბევრია. აიღეთ რომელიც გინდათ, გაზეთი დაწყებული შულგინ პოგოდინის გაზ. და გათავებული ლიბერალურ-კადეტურ გაზეთამდე, ყველგან თვალში მოგხვდებათ საქართველოსადმი მწვავე სიძულვილი. ერთი თვის წინეთ ჩვენ აღვნიშნეთ ბოლშევიკების სიტყვიერების მთელი თაიგული ქართველ „სოციალ—დუხანშჩიკების“ შესახებ. ჩვენ გვახსოვს მაგათი კომუნისტური გამოსვლები მიტინგებზე, სოციალ-დემოკრატების წინაალმდეგ, როდესაც ჩვენ გვისაყვედურებდენ საქართველოს მთავრობის მიერ ბოლშევიკებისა და საბჭოთა მთავრობის მომხრე მუშების დახვრეტას. ჩვენ ზიზღით გვიყვიროდენ: „საქართველოსკენ“. ეს იყო პირველი შემთხვევა. მეორე კი უფრო ცოტათი დიმახასიათებელი. საქართველოზე დორბლიან პირით ლაპარაკობენ მხოლოთ და მხოლოთ, როგორც რუსეთის მტერზე.

რაშია ის დამნაშავე? ნუ თუ იმაშია, რომ დაიცვა თავისი დემოკრატიული დამოუკიდებლობა, არ შევიდა ბოლშევიკურ „სამოთხეში“ და ამით გადაარჩინა თავისი ხალხი სამოქალაქო ომს და სახალხო მეურნეობას განადგურებას? ან და იმაში შეიძლება, რომ მას სურს გამოცხადოს მისი რუსეთთან დამოკიდებულება რუსეთის დამფუძნებელ კრებასთან სრულ თანხმობაში. რა აცხარებს ასე ბ. ბ. შულგინებს, პოგოდინებს და მილიუკოვის თანამოაზრეთ? შეიძლება საქართველოსა და გერმანიის შუა ყოფილი კავშირი?

უნდა ვიცოდეთ, რომ 1918 წ. გაზაფხულზე რკინის რკალებში იყო: ერთი მხრით მასზე მოდიოდა ოსმალეთი და მეორე მხრით ბოლშევიკები. ბაქოს მაგალითი გაკვეთილი იყო საქართველოსთვის. ამ მდგომარეობაში ის მიეკედლა გერმანიას, აგრესიულს, მაგრამ განათლებულს. უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მთავრობამ ასეთ მდგომარეობაშიც მოახერხა დაეცვა თავის დემოკრატიის სუვერენული ღირსება“...

მწერალთა დღეობა.

აგვისტოს 24-ისთვის სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი თავის პირველ დღეობას დიდის ზეიმით აპირებს. დღეობა გაიმართება ქართულ კლუბის დარბაზსა და ბაღში ვრცელი და უჩვეულო პროგრამით, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ქართველებს გარდა ყველა ერის მწერლები და ხელოვანნი.

მწერალთა კავშირის პროვინციებიდან თანხმობის წერილები მოსდის იმ მწერალთა ჩამოსვლის შესახებ, რომელნიც აპირებენ დღეობაში მონაწილეობის მიღებას.

ამ საღამოზე გამოვა ხელთნაწერი კრებული ქართველ მწერალთა ახალ ნაწარმოებთაგან მათის ავტოგრაფით. კრებული ერთი ეგზემპლიარი იქნება და საღამოზე აუქციონით გაიყიდება.

გამოვა აგრეთვე ქართულ მოდათა ნახატების ჟურნალი. მოდათა ესკიზები დახატული იქნება უძველეს ქართულ ტანსაცმელთაგან თანამედროვესთან შეფარდებით. ჟურნალში მოთავსდება მოდელები —ი. ნიკოლაძისა, ლ. გუდიაშვილისა, სერ. სუდეიკინისა, კ. ზდანევიჩისა, ა. პეტრაკოვსკისა და სხვათა.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო სთხოვს ყველა ქართველ მწერალს გამოგზავნოს მასალები იმ კრებულისთვის, რომელიც ერთ ეგზემპლიარად გამოვა მწერალთა კავშირის საღამოზე. მასალა არ უნდა აღემატებოდა 20 სტრიქონს და ტფილისში მიღებული უნდა იქნას 23 აგვისტომდე. მასალა საკუთარ ხელით უნდა იყოს დაწერილი თეთრ სადა ქაღალდის ჩვეულებრივი ფურცლის მეოთხედზე. მისამართი: ტფილისი, საადგილ მამულო ბანკი, კოტე მაყაშვილს.

რკინის გზაზე.

20 აგვისტოს, დღის 12 საათზე სასწრაფო მატარებლით ტფილისიდან ერევანში გაემგზავრენ ამერიკელი მისიის წევრები პოლკ. გასკელის მეთაურობით. სადგ. კობერამდე ისინი გააცილა გზათა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორმა ვ. ა. ჭიჭინაძემ და მოძრაობის უფროსმა გ. ა. აბელოვმა.

18 აგვისტოს ბაქოდან ცენტრალურ სასურსათო საბჭოს მოუვიდა 25 ვაგონი თეთრი ფქვილი.

21 აგვისტოს სად. ტყიბულიდან უნდა გაიგზავნოს სომხეთში 30 ვაგონი ნახშირი.

საქართველოსა და სომხეთის მთავრობის შეთანხმებით, უკანასკნელი თანხმდება ლტოლვილ სომხების თავის ხარჯით გადაყვანაზე. მოძრაობის უფროსმა განკარგულება გასცა დამზადდეს მათ გადმოსაყვანათ ვაგონები სად. ფოთში, ბათუმში და ტფილისში.

22 აგვისტოს ტფილისიდან გუმბრში გაემგზავრა 35 ვაგონი სომეხ ლტოლვილთა.

ქართული მხატვრობა.

მხატვრობის აყვავება, დამოკიდებულია უმთავრესათ მხატვრულ აღზრდაზე, მხატვრულ ღირებულებათა შეგნებაზე, ესთეტიური კულტურის ზრდა განვითარებაზე. სამწუხაროთ, მხატვრული აღზრდა, მხატვრული ღირებულებათა შეგნება, ესთეტიური კულტურა მეტად დაბალ საფეხურზე სდგას საქართველოში. ძალიან ბევრი მუშაობაა საჭირო, რომ ღირსეული სახე მიიღოს არამც თუ მარტო ქართულმა მხატვრობამ არამედ ხელოვნებამ საერთოდ. მხატვრული აღზრდის საქმეს ევროპის სკოლებში დიდის ყურადღებით ეპყრობიან, რადგანაც მხატვრული აღზრდა საზრდო და ჰაერია ესთეტიურის განვითარებისა ამ ბოლო დროს მხატვრულ აღზრდას ჩვენ სკოლებშიც დაეთმო სათანადო ადგილი, მაგრამ ეს კიდევ არა კმარა, საჭიროა უფრო მეტი ყურადღება; ქართველმა მხატვრებმა გაორკეცებული ენერგიით უნდა ადევნონ თვალ ყური ამ საქმეს. ეროვნულმა სკოლამ მხატვრულ აღზრდაში უნდა განასახიეროს ეროვნული სული და გული ეროვნული ელფერი, ამისთვის ხატვის სწავლების მიზანი ჩვენს სკოლაში ახალ ნიადაგზე უნდა დამყარდეს, ჩვენი ცხოვრების დასაახლოვებლადა და შესასწავლად. ეს იმიტომ რომ მხატვრული აღზრდა არკვევს ფართე მასსაში ქართული მხატვრობის ღირებულებათა შეგნებას, ზრდის ესთეტიურ კულტურას, დღემდე არ მოგვიპოვება მხატვრული კრიტიკა; არ გვაქვს შესწავლილი და განხილული ქართული მხატვრობის ღირებულება, მისი ღირსებანი. რაც შეიძლება მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მხატვრულ აღზრდას: ყოველ გვარ ტიპის სკოლაში; დრო არის აგრეთვე დაარსდეს სამხატვრო სასწავლებელი, რომლის მიზანი იქნება ეროვნული მხატვრობის შესწავლა და განვითარება. საჭიროა ამ სერიოზულ საკითხს ყურადღება მიაქციონ ჩვენმა მხატვრებმა. დარწმუნებული ვართ ამ კეთილ საქმისთვის არც მთავრობა დაიშურებს ხარჯის გაწევას.

გ მეხხი.

სხვა და სხვა.

◆ ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებული წერილი „ბრწყინვალე გამარჯვება“ იყო გადმობეჭდილი გაზ. „განახლებული მესხეთიდან“ რაც აღნიშნული არ იყო კორექტორთა უყურადღებობის გამო.

◆ ქართველ მხატვართა მოძრავ გამოფენამ მოიარა ქ. ქუთაისი, ბათუმი და სურამი. გამოფენა ამ ჟამად გორშია.

◆ მეორე ვაჟთა გიმნაზიის ინსპექტორი გვაცნობებს, რომ „საქართველოს რესპუბლიკის“ № 183-ში მოთავსებული ცნობა, სადაც ძეგვილოვის მაღაზიაში წერილის მიმტანელად დასახელებული იყო ვიღაც მიხეილ მგალობლიშვილი ვითომდა მეორე ვაჟთა გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფე, ეს ცნობა სინამდვილის სრულიბით არ შეეფერება. მეორე ვაჟთა გიმნაზიის მოწაფეთა სიაში ამ გვარის მოწაფე სრულებით არ არის.

◆ 22 აგვისტოდან რესპუბლიკის საზღვრებიდან გასასვლელი მოწმობების გაცემა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, გადაეცა ტფილისის ქალაქის მილიციის უფროსს, სადაც უნდა მიმართონ მთხოვნელებმა.

◆ ვაჟთა მე-5-თე გიმნაზიაში მისაღები და გამმეორებითი გამოცდები დაიწყება ეკენისთვის 9-დან, სწავლა კი 15-დან. არის თავისუფალი ადგილები, როგორც პირველ და მეორე გაეროვნებულ ქართულ-სომხურ კლასებში, აგრეთვე დანარჩენ არა გაეროვნებულ კლასებშიდაც თხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე.

◆ ქალაქის გამგეობამ აიღო იჯარით სამიწათ-მოქმედო სამინისტროდან 11 გოგირდის აბანოები, მათ შორის გამგეობამ დაადგინა 5 აბანო გასცეს საჯარო ვაჭრობით, დანარჩენი კი თვით აწარმოოს სამეურნეო წესით. საჭიროა სპეციალისტი აბანოების გამგის ადგილზე, სათანადო ცოდნით აღჭურვილი.

განცხადებანი

დაკარგულია რკინის გზის „ნაკლადნაია“ № 10.774, რომელიც გაუქმებულათ ითვლება. ი. ა. ფირიმანი. 1148 3—1

ქ. ტფილისის მე-3 სამომრიგებლო უბნის ბოქაული გიგეჭკორი სამოქ. საქ. წესდ. მე 1030 მუხლის ძალით აცხადებს, რომ 1919 წ. აგვისტოს 31-ს, დილის 10 საათზე საჯაროთ გაიყიდება მიხეილის ქ. № 10 მოძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის მართა ვასილენკოს. ქონება აწერილია ენა ლერნერის ვალის დასაკმაყოფილებლათ ქ. ტფილისის მე-15 უბ. მომრიგ. მოსამართლის აღმასრულებელი ფურცლით და შეიცავს სახლის ავეჯეულობას. 1187 1—1

სისხლის სამართლის წესდების 846, 847, 848 და 851 მუხლებში სოფ. ალბულაღის მომრიგებელ მოსამართლის დადგენილებით იძებნება სტავროპოლსკის გუბერნიის სვიატოკრესტოვსკის მაზრაში იაკობ ანდრიას ძე პოპოვი. ისჯება 169 სასჯელთა მუხლის ძალით. ბრალდებულის ნიშნები არ არის. ყველა, ვინც კი იცის სად იმყოფება ბრალდებული, მოვალეა აცნობოს მომრიგებელ მოსამართლეს, იმ დაწესებულებათ კი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება ბრალდებულის ქონება დაუყონებლივ უნდა აცნობონ მომრიგებელ მოსამართლეს, რათა მიიღოს ზომები მზრუნველობის დასანიშნავათ. 1326 1—1

მე-2 ქვეითა ბრიგადის სამეურნეო სამმართველო ამით აცხადებს, [illegible] შაბათს 25 აგვისტოს დილის 10 საათზედ საჯარო ვაჭრობით ჰყიდის სამხედრო სისტემის ოთხთვალა ურმების ყუთებს. ვაჭრობა მოხდება დიდუბის და ბათუმის ქუჩის კუთხეში-მოედანზე. 1188 2—1

იასონ. ალ. მეტრეველი აცხადებს რომ მან დაჰკარგა შემდეგი საბუთები: 1) იარაღის შენახვის და ტარების მოწმობა, (№ 71, 1920 წ. 1 იანვრამდე, ფრანგული სისტემის „ნაგანა“ რევოლვერის № 54,834 და ვინტოვკის № 731); 2) პიროვნების მოწმობა, ივნისში აღებული. ფოსტის კვიტანცია, ჟურნალ პროლეტარის სახელზე ფულის მისაღები № 137. დამფუძნებელ კრების სხდომებზე დასასწრები „პროლეტარის“ რედაქციისგან თანამშრომლობის მოწმობა; ამავე რედაქციისგან რწმუნებულობის მოწმობა და სხვა... საბუთები გაუქმებულათ ითვლება. 1137 3—1

თიანეთის განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე თანახმად 1401 მუხ. სამოქ. სამ. წარმ. იწვევს გარდაცვალებული სოფელ ძებნიაურებში (თიანეთის მაზრა) მცხოვრებელს გიორგი (იგივე გაგა) ზაქარიაძის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავიანთი უფლება ზაქარიაძის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზედ 1241 მუხ. სამ. კან. კრებ. მეათე ტომისა პირველი ნაწილი აღნიშნულ ვადაზედ. 1467 1—1

ნინო ლევანის ასული ჩიჩუა აცხადელი რომ მან დაჰკარგა ატესტატი, მიღებულს, ქუთ. წმ. ნინოს სასწავლებლიდან 1908 წელს და დიპლომი, რაც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1170 3—3

არტემ არტემის ძე აივაზოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისიდან კავკავში ღვინის გატანის ნებართვა, აღებული ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწვ. სამინისტროდან 1918 წელს 16 მარიამობისთვეს. ნებართვა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1168 3—3

პეტრე პავლეს ძე ხმალაძე აცხადებს, რომ მას ჯიბიდან ამოართვეს საფულე, რომელშიც იყო 3000 მ. და შემდეგი საბუთები: 1. პირადობის მოწმობა, მიღებული ტფილისის მილიციის უფროსისგან. 2. სამხედრო ბეგრის მოხდის მოწმობა, მიღებული ტფ. სამხედრო უფროსისგან. 3. შინაური პირობა ი. ვ. და პ. ხმალაძეების შედგენილი 1918 წ. მარტის 27-ს და სხვ. ზემოხსენებული საბუთები გაუქმებულათ ითვლება. 1174 3—3

ალექსანდრე გიორგის ძე ლიჩელი აცხადებს, რომ მან დაკარგა საფულე, რომელშიდაც იყო: 1) პასპორტი, მიღებული სოფ. მეჯვრის საზოგად. კომისარიატიდგან, სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, სახელმწიფო ლატარიის ბილეთების ნომრები, ვერცხლი რვა მისხალი (ქამრის) სამი თითო მანეთიანი და ბონები თექვსმეტი თუმნის.

მპოვნელს სთხოვენ საჭირო დოკუმენტები გაუგზავნოს პატრონს შემდეგი მისამართით: მესამე უბანი შვინდის ქუჩა № 4 ალ. ლიჩელს, ფული და ვერცხლი კი დაიტოვოს თავის სასარგებლოთ. 1158 3—2

იყიდება სახლი სამ სართულიანი. ანდრეევის ქუჩა, № 113. პირობების გაგება შეიძლება იმავე სახლში მელიტონ ბაქრაძესთან. 1181 3—2

ვიპოვნე ამა წლის 11 მარიამობისთვეს (ახალი სტილით) დაახლოვებით დღის 1 საათზე, ბორჯომ პარკის სადგურზე საფულე ფულით და ნივთებიც. დამკარგველს შეუძლია მაცნობოს ბარათით: საფულის ნიშნები, ფულის რიცხვი, რომელი ფული რამდენიანი იყო და აგრეთვე თუ რა იყო მეორე ნივთიც საფულესთან ერთათ. აქ მისამართით: დ. ხარაგოული. პოჩტ. სიმონ ნიკოლოზის ძე კაკულიას. ვინც გამოიცნობს, პასუხს მიიღებს, ვინცარა უპასუხოთ დარჩება.

ტფილისის ქალთა წმ. ნინოს სახელობის მე-7-დე გიმნაზიაში

(გაერთიანებულ ქალთა მე 7 დე და წმ. ნინოს გიმნაზიები) მისაღები და ხელმეორე გამოცდები დაიწყება ენკენისთვის 8-დან; სწავლა ენკენისთვის 15 დან.

თხოვნების მიღება სწარმოებს ყოველ დღე (გარდა კვირა უქმეებისა) დილის 10—2 საათამდის.

მისამართი: ერმოლოვის ქუჩა № 13 ყოფილი წმ. ნინოს გიმნაზიის შენობა.

1179 2—2

ქალ-ვაჟთა რვა კლასიანი გიმნაზია

ი. მ. მაჩაიძისა, ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 22.

(შენობა ყოფილ სასულიერო სასწავლებლისა) მისაღები გამოცდები 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8 კლასებში დანიშნულია ყოველ ორშაბათობით 20 სექტემბრამდი. მოსამზადებელ კლასებში ყმაწვილები მიიღებიან გამოუცდელად. თხოვნების მიღება 9—3 ს.

საქართველოს მთავრობის სტამბა

დროებითი რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე